P-ISSN 1987-7668 / E-ISSN 2720-782X
https://doi.org/10.60131/jlaw.1.2025.9297
ლიცენზია: CC BY-SA

**თამარ ებრალიძე***

# ვინც არ გავიწყდება

პროფესორი მიხეილ კეკელია უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა ბევრი თაობის გამორჩეულად საყვარელი ლექტორი იყო. ამის მიზეზი, გარდა ბრწყინვალე ლექციებისა, სტუდენტებისადმი მისი საოცრად თბილი დამოკიდებულება და გულისხმიერება გახლდათ.

მახსენდება პირველი შეხვედრა ბატონ მიხეილთან. უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, მაშინდელი 105-ე აუდიტორია. პირველკურსელი სტუდენტები ქართული სამართლის ისტორიის ლექტორს ველოდებით. აუდიტორიაში შემოვიდა მაღალი, ძალიან მოხდენილი, ღიმილდაფენილი კაცი. პირველი შთაბეჭდილება პროფესორის უზადო გარეგნობამ მოახდინა, სულ ცოტა ხანში კი ჩვენს წინ იდგა „ტკბილად მოუბარი“, თბილი და მამასავით მოსიყვარულე ადამიანი. მისი თვალები საოცარ სიკეთეს და თითოეული ჩვენგანის მიმართ სიყვარულს ასხივებდა. სანამ ლექციას დაიწყებდა, გვაუწყა, რომ ჩვენი კურსის კურატორი იყო – „გუშინდელი მოსწავლეები ხართ და მე თქვენი კლასის დამრიგებელი ვიქნებიო. თუ რაიმე პრობლემა გექნებათ, შეგიძლიათ მომმართოთ და ვეცდები დაგეხმაროთო“. ამის თქმა იყო და ერთმანეთის მიყოლებით წამოიშალნენ რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტები, რომელთაც უბინაობა აწუხებდათ და სტუდქალაქში მოწყობა სურდათ. ბატონი მიხეილი ყველას ყურადღებით უსმენდა და გულმოდგინედ იწერდა მათ მონაცემებს. შესვენებაზე სტუდენტები თავისთან მიიხმო საკითხების დასაზუსტებლად და დახმარება აღუთქვა, რაც შეასრულა კიდეც. შემდგომში, ლექციის დაწყებამდე, ჯერ ამ სტუდენტებს მოიკითხავდა, აინტერესებდა, როგორ მოეწყვნენ, დახმარება ხომ არ სჭირდებოდათ. დღემდე სიყვარულით ვიხსენებთ ბატონი მიხეილის ზრუნვასა და სიკეთეს.

როგორი შეყვარებული იყო თავის დარგზე! ლექციებს გატაცებით, ერთგვარი აზარტით კითხულობდა. ქართული სამართლის ძეგლებზე საუბრისას საინტერესოდ გადმოგვცემდა იმ პერიოდის საქართველოს ისტორიის ცალკეულ ეპიზოდებს. ჩემი თაობა განებივრებული იყო დიდებული ლექტორებით. იურიდიულ ფაკულტეტზე სამართლის აღიარებულ კორიფეთა მთელი პლეადა მოღვაწეობდა. ამ თანავარსკვლავედში ბატონ მიხეილს ღირსეული ადგილი ეკავა. ლექციაზე ბოლომდე იხარჯებოდა. ქართულ სიდარბაისლესთან ჰარმონიულად შერწყმული შინაგანი კულტურა, ღრმა წიგნიერება, ინტელექტი და მჭერმეტყველების ნიჭი მსმენელზე წარუშლელ კვალს ტოვებდა. მისი ყველა ლექცია იმ საუკუნეებში დაუვიწყარი მოგზაურობა იყო, რომლებზეც ასე გატაცებით საუბრობდა. ჩვენ ვგრძობდით ლექტორის სიყვარულს, გულისხმიერებას და სიყვარულითვე ვპასუხობდით.

ერთხელ სახლში, მშობლებთან მოვყევი, როგორი კეთილი და მზრუნველი კურსის კურატორი გვყავდა. აღმოჩნდა, რომ თურმე ბატონი მიხეილი წლების წინ იმ რაიონის პროკურორი ყოფილა, სადაც მე სკოლა დავამთავრე. მას ლანჩხუთში დღემდე დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებენ. „პატიოსანი“, „წესიერი“, „სამართლიანი“, „გულისხმიერი“ – ეს ის სიტყვებია, რომლებსაც მასზე საუბრისას წარმოთქვამენ. სამწუხაროდ, იმ დროს საკმაოდ იშ-

---

* სამართლის დოქტორი, საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

ვიათი იყო ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლის მიმართ საზოგადოების ასეთი თბილი დამოკიდებულება. ნათქვამია, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო. ხალხს ვერაფერს გამოაპარებ. ის ბრძენია და ყველაფერი იცის. ყველგან, სადაც ბატონ მიხეილს უმუშავია, ახსოვთ მისი პატიოსნება, სამართლიანობა, ადამიანებისა და თავისი საქმისადმი სიყვარული.

მეხუთე კურსზე იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები პოლიციასა (მაშინდელი მილიცია) და პროკურატურაში პრაქტიკის გასაცნობად გაგვაგზავნეს. მე პრაქტიკას ჩემს რაიონში გავდიოდი. ბატონი მიხეილი მოავლინეს უნივერსიტეტიდან პრაქტიკანტი სტუდენტების შესამოწმებლად და ამბის მოსაკითხად. უნდა გენახათ, როგორი სიყვარულით ხვდებოდნენ და ეხვეოდნენ თანამშრომლები, პროკურორითა და მილიციის უფროსით დაწყებული, უბრალო ტექნიკური პერსონალით დამთავრებული. ჩემთვის, ოცი წლის სტუდენტისთვის, ცოტა უჩვეულოც კი იყო იმის ხილვა, რომ ასეთ მკაცრ და პირქუშ დაწესებულებებში ამხელა სითბო და სიყვარული შეძლებიათ. ბატონმა მიხეილმა ყველა კაბინეტი ჩამოიარა, ყველას მოეფერა. მახსოვს, პროკურატურაში მბეჭდავი ქალბატონი ვერ ნახა, მაშინ არ იყო ადგილზე. ხანდაზმული ქალბატონი ბრძანდებოდა, რომელიც წლების განმავლობაში ამ დაწესებულებაში მუშაობდა. ქეთო აქ აღარ მუშაობსო? – იკითხა. როცა გაიგო, რომ დროებით გასული იყო, წასვლის წინ მის სანახავად შემოიარა და მისთვის ჩვეული გულისხმიერებით მოიკითხა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში დავიწყე მუშაობა. ბატონი მიხეილი იქაც მუშაობდა. რა დამავიწყებს მის თბილ შეხვედრას, როცა დერეფანში დამინახა და გულში ჩამიკრა, ლანჩხუთის ამბები გამომკითხა, სიყვარულით მოიკითხა ყველანი – პროკურატურის, პოლიციის, სასამართლოს თანამშრომლები.

მახსენდება უნივერსიტეტის დამთავრების 20 წლისადმი მიძღვნილი ბანკეტი. ბატონი მიხეილი სადღეგრძელოს წარმოთქვამდა. პროფესორი მინდია უგრეხელიძე ყურადღებით უსმენდა. რომ დაამთავრა, ბატონი მინდია ეუბნება – „ბატონო მიხეილ, როგორ მოგიხდებოდათ ჩოხა, თეთრი ჩოხა“. მართლაც, დიდებული სანახავი იქნებოდა თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მიხეილ კეკელია. ალბათ, ასე გამოიყურებოდნენ საუკუნეების წინ ჩვენი სამართლის წიგნთა შემოქმედნი, ასე დარბაისლურად მეტყველებდნენ და ბჭობდნენ ჩვენი წინაპრები მეფეთა დარბაზობებზე. თითქოს, ბატონ მიხეილზე ბრძანა დიდმა პოეტმა: „მაღალი, უხვი, მდაბალი“... „კვლა მოუბარი წყლიანი“... „მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, გამგებიანი“.

მშვიდად განისვენეთ ბატონო მიხეილ. თქვენი კეთილი საქმეები იმქვეყნადაც გზას გაგინათებთ. თქვენს სახელსა და ღვაწლს დავიწყება არ უწერია. „არ დავიწყება მოყვრისა“ ხომ ქართველებს ძვალსა და რბილში გვაქვს გამჯდარი. ამის ნათელი დადასტურება ეს კრებულიცაა.